ინტელექტუალური კონკურსი
„ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ 2010 - 2011

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით გაიმართება ინტელექტუალური კონკურსი: „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ მოსწავლეებს შორის.

- მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ტერიტორიასა და საზღვარგარეთ არსებული ნებისმიერი სკოლის მოსწავლეს;
- კონკურსი გაიმართება ორ ასაკობრივ ჯგუფში: V-VIII და IX-XII კლასის მოსწავლეებში;
- თითოეული გუნდი შედგება შვიდი ძირითადი და სამი სათადარიგო წევრისგან;
- თითოეულ გუნდს ჰყავს მხარდამჭერები (გულშემატკივრები), რომლებიც შეასრულებენ ქართულ ხალხურ სიმღერას, საგალობელსა და ქართულ ცეკვას;
- მხარდამჭერთა ჯგუფი ყალიბდება იმავე სკოლის მოსწავლეებით, რომლითაც დაკომპლექტებულია მოასპარეზე გუნდი.
- მხარდამჭერთა ჯგუფში არ უნდა შედიოდეს მოასპარეზე გუნდის წევრი.
- ჩემპიონატი გაიმართება ხუთ ეტაპად:
    1. სასკოლო;
    2. სარაიონო;
    3. ზონალური;
    4. ნახევარფინალი;
    5. ფინალი
- თითოეულმა გუნდმა უნდა წარმოადგინოს განაცხადი, რომელშიც მითითებული იქნება:
    ა) გუნდის სახელწოდება;
    ბ) კაპიტნისა და გუნდის წევრთა სია, თითოეულზე კლასის მითითებით;
    გ) გუნდის ხელმძღვანელის საკონტაქტო მონაცემები;
    დ) გულშემატკივართა მიერ შესასრულებელი საკონცერტო ნომრები;
    ე) 50 კითხვა-პასუხი (25 – ძველი და 25 – ახალი აღთქმიდან), თითოეულზე წყაროს მითითებით; **(გამოიყენეთ მხოლოდ ძველი და ახალი აღთქმის წიგნები)**

წყაროების მითითების მაგალითები: 1. (დაბ. 1;7); 2. (მთ. 3; 19); 3. (I მეფ. 5; 12) 4. (აპოკ. 4; 7) და ა.შ.

განაცხადები მიიღება საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში 2010 წლის 30 სექტემბრიდან – 30 ოქტომბრამდე, 12.00 დან–18.00 საათამდე.

განაცხადების მიღება როგორც წერილობით, ასევე ელექტრონული ფოსტითაც. იმ შემთხვევაში თუ რეგისტრაციამ წარმატებით ჩაიარა, თქვენ მიიღებთ ელ.ფოსტითვე სარეგისტრაციო ნომერს. აუცილებელია გადაამოწმოთ გაგზავნილი მასალების მიღება ორგანიზატორებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში რეგისტრაცია გავლილად არ ჩაითვლება. **E-mail: biblia@axalgazrdoba.ge**

დაგვიანებული განაცხადების მიღება შესაძლებელია 2010 წლის **7 ნოემბრამდე**, ასეთ შემთხვევაში გუნდი ჯარიმდება -3 ქულით. არასრულყოფილი განაცხადები არ მიიღება. ***<u>ახალგაზრდული ცენტრის მისამართი: თბილისი, წმ. სამების საკათედრო ტაძარი.</u>***

ჩემპიონატის დებულება იხილეთ ჟურნალ „ახალგაზრდობაში“; ვებ-გვერდზე: **www.axalgazrdoba.ge** ან ადგილობრივ რესურს-ცენტრში. დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ ნომრებზე: **895 300 516 895 300 515**